დ ე ბ უ ლ ე ბ ა

არტემ ერქომაიშვილის სახელობის ქართული გალობის შემსრულებელთა და მკვლევართა საერთაშორისო კონკურსის შესახებ

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. ფონდი „ქართული გალობის“ (შემდგომში „ფონდი“) მიერ დაფუძნებული კონკურსის მიზანია:

- ქართული გალობის საშემსრულებლო სფეროს განვითარება და პოპულარიზაცია, საგალობლების საუკეთესო შემსრულებელთა გამოვლენა;
- ქართული საეკლესიო გალობის სფეროში სამეცნიერო კვლევების სტიმულირება და საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების წარმოჩენა.

1.2. კონკურსის სახელწოდებაა – „არტემ ერქომაიშვილის სახელობის ქართული გალობის შემსრულებელთა და მკვლევართა საერთაშორისო კონკურსი“ (შემდგომში „კონკურსი“).

1.3. კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოვება მოხდება არტემ ერქომაიშვილის დაბადების დღეს, ყოველი წლის 22 ოქტომბერს.

1.4. სახელწოდება გადის სპეციალურ რეგისტრაციას დადგენილი წესით და მისი გამოყენება იკრძალება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2
კონკურსის ჩატარების ვადები და პირობები

2.1. კონკურსი ცხადდება ყოველწლიურად, შემდეგი მონაცვლეობით: ერთ წელიწადს – გალობის სფეროში საუკეთესო სამეცნიერო კვლევების, ხოლო მეორე წელიწადს – ქართული ტრადიციული გალობის შემსრულებელი საუკეთესო საეკლესიო გუნდის გამოსავლენად.

2.2. სამეცნიერო ნაშრომების კონკურსზე გამარჯვებულთა გამოვლენა ხდება შემდეგი ნომინაციების მიხედვით:

ა) **საუკეთესო ფუნდამენტური კვლევა** (მონოგრაფიული ნაშრომი);

ბ) **საუკეთესო გამოყენებითი კვლევა** (სანოტო/აუდიო კრებული, მონაცემთა ბაზა, ლექსიკონი, სახელმძღვანელო);

გ) **საუკეთესო ახალგაზრდული სამეცნიერო პუბლიკაცია.**

2.3. 2.2 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების ნომინაციებზე ნაშრომი საკონკურსოდ შესაძლოა წარდგენილი იყოს ავტორთა ჯუფის მიერ.

2.4. ქართული გალობის საშემსრულებლო სფეროს განვითარებისა და პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის გამოცხადებულ კონკურსზე გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ნომინაციის მიხედვით _ **ქართული ტრადიციული გალობის შემსრულებელი საუკეთესო საეკლესიო გუნდი.**

2.5. ყოველი წლის დასაწყისში ფონდი განსაზღვრავს, ზემოთ ჩამოთვლილი ნომინაციებიდან კონკრეტულად რომელ ნომინაციაში/ნომინაციებში ჩატარდება კონკურსი მიმდინარე წელს და ადგენს კონკურსის განრიგს.

2.6. სამეცნიერო ნაშრომების კონკურსის თითოეულ ნომინაციაში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

2.7. გალობის შემსრულებელთა კონკურსის ნომინაციაში გამოვლინდება სამი გამარჯვებული (I, II და III პრემიები).

2.8. კონკურსის ჩატარების ეტაპებია:

ა) საკონკურსო პირობების გამოცხადება;

ბ) განაცხადების მიღება;

გ) სამეცნიერო ნაშრომების განხილვა/შემსრულებელთა მოსმენა და გამარჯვებულთა გამოვლენა.

დ) გამარჯვებულთა დაჯილდოვება.

2.9. ქართული ტრადიციული გალობის შემსრულებელთა კონკურსი ტარდება ორ ტურად:

ა) I ტური - კონკურსანტთა მიერ გამოგზავნილი ჩანაწერების მოსმენა-გადარჩევა, რის შედეგადაც გამოვლინდება II ტურზე დაშვებული მონაწილეები – არა უმეტეს 15 გუნდისა. I ტურის განმავლობაში კონკურსის ორგანიზატორები უზრუნველყოფენ ჩანაწერების შემსრულებელთა ანონიმურობის დაცვას.

ბ) II ტურის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე, ჟიური განსაზღვრავს 30 საგალობელს კონკურსის სავალდებულო რეპერტუარიდან (იხ. დანართი), საიდანაც II ტურზე,

კონკურსანტები შეასრულებენ სამ საგალობელს. შერჩეული გუნდებიდან II ტურზე გამოვლინდება 3 გამარჯვებული საუკეთესო საეკლესიო გუნდი.

მუხლი 3
კონკურსში მონაწილეობის წესი

3.1 საკონკურსოდ ფონდი განიხილავს და შეარჩევს საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეთა/მოქალაქეთა ჯგუფების მიერ წარმოდგენილ საკონკურსო განაცხადებს.

3.2 კონკურსში მონაწილეთა სქესი და ასაკი შეუზღუდავია, გარდა ნომინაციისა „ახალგაზრდული სამეცნიერო პუბლიკაცია“, სადაც მონაწილის ზედა ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრება 35 წლით.

3.3. სამეცნიერო კონკურში მონაწილე ფიზიკურ პირს უფლება აქვს შეიტანოს ინდივიდუალური განაცხადი მხოლოდ ერთ საკონკურსო ნომინაციაზე. ინდივიდუალური განაცხადის შემტან პირს უფლება ეძლევა ეძლევა მონაწილეობდეს იმავე ან სხვა ნომინაციაში ავტორთა ჯგუფთან ერთად.

3.4. საკონკურსოდ განიხილება სამეცნიერო შრომა, რომელიც გამოცემულია კონკურსის გამოცხადებამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში.

3.5. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ერთგვაროვანი (მამაკაცთა/ქალთა) შემადგენლობის მოქმედ საეკლესიო გუნდს, რომელიც ფლობს წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ, მთელი წლის სამგალობლო რეპერტუარს (იხილე დანართი). ერთი ფიზიკური პირი შეიძლება იყოს კონკურსში მონაწილე მხოლოდ ერთი საეკლესიო გუნდის შემადგენლობაში.

3.6. საკონკურსოდ არ განიხილება პირის/პირთა ჯგუფის განაცხადი იმ სამეცნიერო ნომინაციაზე, რომელზეც მათ გამარჯვება მოიპოვეს წინა ორ კონკურსში.

3.7. საკონკურსოდ არ განიხილება გალობის შემსრულებელთა წინა კონკურსებში პირველ ადგილზე გასული ლაურეატის განაცხადი. ხოლო, მეორე და მესამე ადგილზე გასული ლაურეატების განაცხადი განიხილება გამარჯვებიდან მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ.

მუხლი 4
საკონკურსო ჟიური

4.1. კონკურსში გამარჯვებულ პირებს/ჯუფებს გამოავლენს ჟიური, რომლის შემადგენლობასაც ყოველწლიურად ადგენს ფონდი.

4.2. სამეცნიერო ნაშრომების კონკურსის ჟიური შედგება ქართული გალობისა და მის მომიჯნავე სფეროებში მოღვაწე 5 წევრისაგან. ჟიურის შემადგენლობა ანონიმურია.
4.3. ქართული ტრადიციული გალობის შემსრულებელთა კონკურსის ჟიური შედგება ქართული გალობისა და მის მომიჯნავე სფეროებში მოღვაწე 7 წევრისაგან.
4.4. ჟიურის უფლება აქვს არ გასცეს ნებისმიერი პრემია ნებისმიერ ნომინაციაში, თუ წარმოდგენილი ნაშრომი ან მონაწილე გუნდის საშემსრულებლო დონე ვერ პასუხობს საკონკურსო მოთხოვნებს, ან კონკურსანტი დაარღვევს დებულების რომელიმე პირობას.
4.5. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ჟიურის წევრებისთვის დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობა;
4.6. ფონდი უფლებამოსილია, ცვლილება შეიტანოს ჟიურის შემადგენლობაში კონკურსის მსვლელობის ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 5
კონკურსის ფინანსური პირობები

5.1. ყოველწლიურ საკონკურსო საპრემიო ფონდს გამოყოფს კონკურსის დამფუძნებელი.
5.2. ყოველწლიური კონკურსის საპრემიო ფონდი შეადგენს 10.000 (ათი ათასი) ლარს.
5.3. სამეცნიერო კვლევების ნომინაციებში საპრემიო 10. 000 (ათი ათასი) ლარი ნაწილდება შემდეგნაირად:
ა) **საუკეთესო ფუნდამენტური კვლევა** (4000 ლარი);
ბ) **საუკეთესო გამოყენებითი კვლევა** (4000 ლარი);
გ) **საუკეთესო ახალგაზრდული სამეცნიერო პუბლიკაცია** (2000 ლარი).
5.4. ნომინაციაში - **ქართული ტრადიციული გალობის შემსრულებელი საუკეთესო საეკლესიო გუნდი** - გაიცემა სამი პრემია:
ა) პირველი პრემია - 5 000 ლარი
ბ) მეორე პრემია - 3 000 ლარი
გ) მესამე პრემია - 2 000 ლარი
5.5. კონკურსის დამფუძნებელთან შეთანხმებით დასაშვებია დაინტერესებული ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ სპეციალური ჯილდოების გაცემა.

მუხლი 6

კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია

6.1. საკონკურსო განაცხადები მიიღება ფონდში, დადგენილ ვადაში. დაგვიანებით წარდგენილი განაცხადები არ მიიღება.

6.2. სამეცნიერო კვლევებისათვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარადგინოს:

- **განაცხადი** (თანდართული ფორმის მიხედვით);
- საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი, ბეჭდური (3 ეგზემპლარად, ქართულ ენაზე), ან ელექტრონული სახით (ნაშრომის ფორმატის შესაბამისად);
- ფოტო და CV;
- განათლებისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

6.3. ქართული ტრადიციული გალობის შემსრულებელთა კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა გუნდმა უნდა წარადგინოს:

- **განაცხადი** (თანდართული ფორმის მიხედვით);
- სავალდებულო რეპერტუარიდან (იხ. დანართი) სამი საგალობლის აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი;
- გუნდის ფოტო და CV;
- ეპარქიის მმართველი მღვდელთმთავრის მიერ დამოწმებული ცნობა ღვთისმსახურებაში მონაწილეობისა და გუნდის სიითი შემადგენლობის შესახებ.

6.4. კონკურსში მონაწილობის მისაღებად განაცხადისა და დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია პირადად, ან ონ-ლაინ ფორმატში. საკონკურსოდ შემოტანილი მასალა ავტორებს არ უბრუნდება.

მუხლი 7
კენჭისყრის პროცედურა

7.1. ნომინაციაში გამარჯვებულად ჩაითვლება პირი/ჯგუფი, რომელიც მიიღებს ჟიურის წევრების ხმათა უმრავლესობას.

7.2. ჟიური გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, მსჯელობის შედეგად.

7.3. ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 8
კონკურსის დებულების დამტკიცება

კონკურსის დებულებას ამტკიცებს ფონდი. ის უფლებამოსილია ცვლილებები და დამატებები შეიტანოს დებულებაში.